წარჩინებულ სტუდენტთა სწავლის საფასურის თანადაფინანსება

---

1. *პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ:*
    - *მრავალშვილიანი (ოთხი და მეტი) ოჯახების შვილებს, რომლებიც სწავლობენ საქართველოს აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლებში, ოჯახის სარეიტინგო ქულა აქვთ 120 000-ზე ნაკლები და არ არიან ჩართული დაფინანსების არცერთ სახელმწიფო პროგრამაში. პრიორიტეტი ენიჭება, პირველ რიგში, სტუდენტის მაღალ აკადემიურ მოსწრებას შეფასების სისტემით 91 ქულიდან 100 ქულის ჩათვლით (GPA 3-4), შემდეგ ოჯახის შედარებით დაბალ სარეიტინგო ქულას;*
    - *საქართველოში აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლების სახელოვნებო სფეროს მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებს, რომლებიც წარჩინებული არიან თავიანთი პროფილით (მაგალითად, პერსონალური გამოფენა, წიგნის გამოცემა, მთავარი როლი თეატრალურ წარმოდგენაში, მთავარი პარტია საოპერო დადგმაში და ა.შ).*

2. *წარმოსადგენი დოკუმენტაცია :*
    - *სტუდენტის აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი დოკუმენტი;*
    - *დახასიათება უმაღლესი სასწავლებლიდან შესაბამისი პროფილით სტუდენტის წარჩინების თაობაზე;*
    - *უმაღლესი სასწავლებლის მოთხოვნა სწავლის დაფინანსების თაობაზე;*
    - *ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.*

3. ***დაფინანსდება მიმდინარე სასწავლო წლის სწავლის საფასურის ნახევარი, მაგრამ არაუმეტეს 1125 ლარისა, დარჩენილი თანხის დაფინანსების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ.***

4. *დაფინანსება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, შესაბამის სასწავლებელში თანხის ჩარიცხვით.*

5. ***ბენეფიციართა თანადაფინანსების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება შესაბამისი „სოციალური კომისიის“ მიერ.***